




შპს “ახალი ყავის კომპანია”

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური
ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის
(მსს ფასს) შესაბამისად მომზადებული
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები:

1. შპს „ახალი ყავის კომპანია“ და მისი საქმიანობა, ზოგადი ინფორმაცია
2. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა
3. ძირითადი საშუალებები
4. არამატერიალური აქტივები
5. მარაგები
6. შემოსავალი რეალიზაციიდან
7. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება
8. ფული და ფულის ექვივალენტები
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
10. საწესდებო კაპიტალი
11. მოგების გადასახადი
12. რისკების განსაზღვრა (კორონავირუსის COVID-19 პანდემია)
13. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

ანგარიშგება შედგენილია ერთეულ ლარებში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2018	2019
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	4000	8000
სავაჭრო მოთხოვნები	492000	108000
გადახდილი ავანსები	12000	276000
მარაგები	108000	2000
მზა პროდუქცია	108000	2000
სხვა		
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები	0	0
თვითღირებულების მოდელით		
გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები	2000	1000
ძირითადი საშუალებები	916000	792000
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	1534000	1187000
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		

სავაჭრო ვალდებულებები	60000	50000
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		
საგადასახადო ვალდებულებები	69000	17000
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	129000	67000
საკუთარი კაპიტალი	1500000	1500000
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-95000	-380000
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	1405000	1120000
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1534000	1187000

დირექტორი:

ირინე უჩანეიშვილი

20 სექტემბერი 2020 წელი

საქართველო, თბილისი



ანგარიშგება შედგენილია ერთეულ ლარებში

საქმიანობის შედეგები	2018	2019
ნეტო ამონაგები	2536000	2864000
საქონლის გაყიდვიდან	2263000	2651000
მომსახურების გაწევიდან	273000	213000
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-2154000	-2426000
საწყისი მარაგები	-392000	-108000
მარაგების შესყიდვა	-1870000	-2320000
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	108000	2000
საერთო მოგება	382000	438000
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-168000	-167000
ცვეთა და ამორტიზაცია	-315000	-425000
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :		
იჯარის ხარჯი	-12000	-15000
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-208000	-94000
სულ საოპერაციო ხარჯები	-703000	-701000
საოპერაციო მოგება	-321000	-263000
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	-16000	-22000
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	-337000	-285000
განგრძობითი ოპერაციებიდან		
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	-337000	-285000
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-337000	-285000
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1742000	1405000
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1405000	1120000

დირექტორი:

ირინე უჩანეიშვილი

20 სექტემბერი 2020 წელი
საქართველო, თბილისი



ანგარიშგება შედგენილია ერთეულ ლარებში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	2018	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	140000	271000
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		-238000
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-153000	-28000
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-13000	5000
სავალუტო კურსის ეფექტი	-1000	-1000
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	18000	4000
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	4000	8000

დირექტორი:

ირინე უჩანეიშვილი

20 სექტემბერი 2020 წელი

საქართველო, თბილისი



ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები:

1. შპს „ახალი ყავის კომპანია“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი საქმიანობა, ზოგადი ინფორმაცია

შპს „ახალი ყავის კომპანია“ დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დააარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ოფისი მდებარეობს თბილისში, ისაკიანის 1 ნომერში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს : საბითუმო ვაჭრობა ყავით, ჩაით, კაკაოთი და სანელებლებით. კომპანიას არ გააჩნია შვილობილი კომპანიები.

კომპანია დაფუძნებულია 2009 წლის 23 სექტემბერს და მოქმედი დირექტორია ირინე უჩანეიშვილი პ/ნ 60001008279.

ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „ მსს ფასს“). ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ წლიურ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.(მსს ფასს).

ოპერაიები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (“GEL”).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესამდგომი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაციისა და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, მოთხოვნად დეპოზიტებს, რომელთა ვადაც 3 თვეს ან უფრო ნაკლებ პერიოდს შეადგენს.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება ეფუძნება წრფივ მეთოდს და შეიცავს მარაგების შეძენის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯებს. შეფასებით გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო გასაყიდი ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ყოველი პერიოდის ცვეთის სიდიდე ერთმანეთის ტოლია და გაიანგარიშება აქტივის ცვეთადი ღირებულებისა და მისი მომსახურების ვადის თანაფარდობით. აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები 7-50 წელი
- მოწყობილობა-დანადგარები 3-20 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 5-7 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა 3-20 წელი
- ავეჯი 3-20 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები 3-8 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (მათ შორის შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა) და სხვა არამატერიალური აქტივებს. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი

მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში.
არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- არამატერიალური აქტივები 5-20 წელი.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ ფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

იჯარა

კომპანიას არ გააჩნია ფინანსური იჯარა.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ-ს კომპანია სახელმწიფო ბიუჯეტში იხდის მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანია დღგ-ს ჩათვლას ახორციელებს შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა.

3. ძირითადი საშუალებები

თანხა მოცემულია ქართულ ლარში.

	კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
ბალანსი 01 იანვარი 2019 წელი	14781.02	2125925.82	10474.2	2151181.04
შემოსვლა	0	502961.02	0	502961.02
გასვლა	0	282717.37	0	282717.37
ბალანსი 31 დეკემბერი 2019 წელი	14781.02	2346169.47	10474.2	2371424.69

ცვეთა

	კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
ბალანსი 01 იანვარი 2019 წელი	9568.83	1220210.02	4887.96	1234666.81
წლის დარიცხული ცვეთა	1985.74	420577.5	2094.84	424658.08
გასული ძირ. საშ.ცვეთა	0	80275.59	0	80275.59
ბალანსი 31 დეკემბერი 2019 წელი	11554.57	1560511.93	6982.8	1579049.3

ნარჩენი ღირებულება

	კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
ბალანსი 01 იანვარი 2019	5212.19	905715.8	5586.24	916514.23
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	3226.45	785657.54	3491.4	792375.39

4. არამატერიალური საშუალებები

თანხა მოცემულია ქართულ ლარში.

	არამატერიალური აქტივი	სულ
ბალანსი 01 იანვარი 2019 წელი	7,093.72	7,093.72
შემოსვლა	0	0
გასვლა	0	0
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	7,093.72	7,093.72

დაგროვილი ცვეთა

	ცვეთა	სულ
ბალანსი 01 იანვარი 2019 წელი	5302.77	5302.77
დაგროვილი ცვეთა	683.16	683.16
ბალანსი 31 დეკემბერი 2019 წელი	5,985.93	5,985.93

ნარჩენი ღირებულება

	არამატერიალური აქტივი	სულ
ბალანსი 01 იანვარი 2019	1790.95	1790.95
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	1107.97	1107.97

5. მარაგები

კომპანიის სასაქონლო - მატერიალური ფასეულობების სახით გაჩნია:

<u>მარაგები</u>	<u>2018 წლის 31 დეკემბერი</u>	<u>2019 წლის 31 დეკემბერი</u>
საქონელი	108000	2000
ჯამი	108000	2000

6. შემოსავალი რეალიზაციიდან

	<u>2018 წელი 31 დეკემბერი</u>	<u>2019 წელი 31 დეკემბერი</u>
<u>საქონლის გაყიდვიდან</u>	<u>2263000</u>	<u>2650676</u>
<u>მომსახურების გაწევიდან</u>	<u>273000</u>	<u>213434</u>

7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	<u>2018 წელი 31 დეკემბერი</u>	<u>2019 წელი 31 დეკემბერი</u>
<u>გაყიდული პროდუქციის (საქონლის) თვითღირებულება</u>	<u>2154000</u>	<u>2426327</u>

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	<u>2018 წელი 31</u> <u>დეკემბერი</u>	<u>2019 წლის 31</u> <u>დეკემბერი</u>
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	985	293.65
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3000	7242.93
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	0	0
<u>სულ ფულადი სახსრები და მათი</u> <u>ექვივალენტები</u>	<u>3985</u>	<u>7536.58</u>

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ხარჯი მოცემულია ქართულ ლარში

	<u>2018 წელი 31</u> <u>დეკემბერი</u>	<u>2019 წლის 31</u> <u>დეკემბერი</u>
სავაჭრო ვალდებულებები	59528	50713
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	0	0
მიღებული ავანსები	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	69000	17000
გრძელვადიანი სესხები	0	0
გადასახდები პროცენტი	0	0

10. საწესდებო კაპიტალი

	<u>2018 წელი 31</u> <u>დეკემბერი</u>	<u>2019 წლის 31</u> <u>დეკემბერი</u>
საწესდებო კაპიტალი	1500000	1500000
შენატალი და განაწილებები	0	0
დივიდენდები	0	0

11. მოგების გადასახადი

კანონმდებლობის ცვლილების შესაბამისად (ესტონური მოდელი) გადასვლის შემდეგ, კომპანიას მოგების გადასახადის დარიცხვის და გადახდის ვალდებულება წარმოეშვა არა მოგების მიღების მომენტში, არამედ ამ მოგების განაწილების დროს. კომპანიის მოგების გადასახადს იხდის ცალკეულ ოპერაციებზე არსებული კანონის შესაბამისად.

12. რისკების განსაზღვრა (კორონავირუსის COVID 19 პანდემია)

2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსი („COVID-19“) პანდემიად გამოაცხადა. გაურკვეველია, რამდენად შეაფერხებს ეს პანდემია მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას და რა გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე. COVID-19-ით ინფიცირების პირველი შემთხვევა დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა. COVID-19-ის გავრცელების შესაჩერებლად საქართველოს მთავრობამ მთელი რიგი ზომები მიიღო, რამაც სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. კომპანია აკვირდება კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გავლენას თავის საქმიანობაზე, მომხმარებლებსა და თანამშრომლებზე. ამასთან, კომპანია სრულად ასრულებს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ოფიციალურ რეკომენდაციებს, რათა უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოება და თავისი საქმიანობის უწყვეტობა. COVID-19-ის შემდგომი გავრცელება საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, სავარაუდოდ, უარყოფითად აისახება ეკონომიკაზე, თუმცა ჯერ ნაადრევია კომპანიის საქმიანობაზე მისი შესაძლო გავლენის სრულად გააზრება.

2020 წლის 21 მარტს ქვეყანაში, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. საგანგებო მდგომარეობისა და გარკვეული რეგიონების საკარანტინო ზონების შექმნამ გამოიწვია ვაჭრობისა და შემოსავლების კლება. აქედან გამომდინარე, კომპანიაში მოხდა ბიუჯეტის გადახედვა და დაიგეგმა ხარჯების ოპტიმიზაცია;

გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის შემდეგ, მოხდა ისეთი თანამშრომლების დისტანციურ რეჟიმზე გადაყვანა, რომელთა სამუშაო სპეციფიკა იძლეოდა ამგვარი საქმიანობის შესაძლებლობას. კომპანია იცავს ჯანდაცვისა და მთავრობის მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციას. ასევე, ამ რეკომენდაციებზე დაყრდნობით გაიწერა შიდა ბრძანებები და პროცედურები, რომელთა დაცვითაც მიმდინარეობს სამუშაო პროცესი.

ამჟამად, შპს „საქართველოს დისტრიბუცია და ლოჯისტიკა“ ცდილობს შეინარჩუნოს ყველა თანამშრომელი, რადგან მათი გამოცდილება ღირებულია კომპანიისთვის. სამომავლოდ, კომპანია გადადგავს შემდგომ ნაბიჯებს, ჯანდაცვის სამინისტროსა და მთავრობის მიერ გაცემული რეკომენდაციების მიხედვით.

13. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ანგარიშგებაში, არ მომხდარა.